



საერთაშორისო თანამშრომლობისა და  
ინტერნაციონალიზაციის მუქანიზმები

2019

# დოკუმენტის შინაარსი:

შესავალი .....	3
უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვის მიზნით, უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მოზიდვის მექანიზმები.....	3
უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მეტი ჩართულობის მექანიზმები .....	3
ინგლისური ენის კომპეტენციის ზრდის ხელშეწყობის მექანიზმები გამჭოლი ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში.....	4
უნივერსიტეტის ინსტიტუციური საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების დაახლოების მექანიზმები საერთაშორისო სტანდარტებთან .....	5



## შესავალი

ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების დოკუმენტი ეყრდნობა ევროპის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებს ევროპის უნივერსიტეტის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, 2019-2025 წლის სტრატეგიას და არსებულ საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას.

დოკუმენტი პრაქტიკული ხასიათისაა და წარმოადგენს არსებული მექანიზმების აღწერას.

ქვემოთ წარმოდგენილია ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების მიხედვით:

## უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვის მიზნით, უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მოზიდვის მექანიზმები

- ინდივიდუალური ხელშეკრულებების გაფორმება საერთაშორისო აკადემიურ პერსონალთან.
- ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმება სწავლებისა და კვლევის კუთხით უნივერსიტეტებთან, კვლევით ინსტიტუტებთან და სხვა აკადემიურ ორგანიზაციებთან.
- ხელშეკრულებების გაფორმება ერაზმუს+ და სხვა საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში უნივერსიტეტებთან და სხვა აკადემიურ ორგანიზაციებთან.
- საინფორმაციო კამპანიების წარმოება აკადემიური პერსონალის მოზიდვის მიზნით.
- არსებული საერთაშორისო კონტაქტების გამოყენება აკადემიური პერსონალის მოზიდვის მიზნით.
- საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და სხვა საერთაშორისო აკადემიურ აქტივობებში მონაწილეობის მიღება კონტაქტების დამყარების მიზნით.

## უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მეტი ჩართულობის მექანიზმები

- ხელშეკრულებების გაფორმება უნივერსიტეტებთან ერაზმუს+ და სხვა საერთაშორისო ფონდებში ჩართულობის მიზნით.



- საერთაშორისო გაცვლითი პროექტების შესახებ სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება (ვებგვერდი, ბაზა, სოციალური ქსელი, ელფოსტა, სიახლეები ბლოგი, საინფორმაციო შეხვედრები).
- სტუდენტებისა და პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება საერთაშორისო გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით (განაცხადის შევსება, დოკუმენტაციის მომზადება, კომუნიკაცია უცხოელ კოლეგებთან და სხვ.).
- საერთაშორისო კვლევითი პროექტების უნივერსიტეტის პერსონალთან ერთად მომზადება და უცხოელი პარტნიორების ჩართულობით საკონკურსოდ წარდგენა.
- 2019 წელს ევროპული კლუბის დაარსება და დასავლური კულტურის შესახებ საინფორმაციო და აკადემიური აქტივობების მეშვეობით აქტიური საუნივერსიტეტო ჯგუფის ჩამოყალიბება.
- ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე საელჩოების წარმომადგენლების უნივერსიტეტში მოწვევა არსებული საერთაშორისო გაცვლების პროგრამებისა და უცხოეთში სწავლის/კვლევის შესაძლებლობების შესახებ.
- საერთაშორისო ვიზიტორის — პროგრამის ფარგლებში აკადემიური პერსონალის მოკლევადიანი მივლინების უზრუნველყოფა პარტნიორ უნივერსიტეტებში.

### ინგლისური ენის კომპეტენციის ზრდის ხელშეწყობის მექანიზმები გამჭოლი ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში

- ქართულენოვან პროგრამებში ინგლისური ენის კომპონენტის გათვალისწინება/გაზრდა.
- სილაბუსების ნაწილში ინგლისურენოვანი ლიტერატურის/რესურსების გათვალისწინება და აქტიურად გამოყენება.
- სალექციო/სასემინარო მუშაობის გარკვეული ნაწილის ინგლისურ ენაზე ჩატარება.
- არჩევითი ინგლისურენოვანი კურსების შემოტანა და პოპულარიზაცია.
- სასწავლო კურსის ფარგლებში ინგლისურენოვანი სასწავლო ღონისძიებების ჩატარება.
- საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების სასწავლო/კვლევით პროცესში აქტიურად გამოყენება.
- ადმინისტრაციის გადამზადება ინგლისურ ენაში.



- ინგლისური ენის პროფესორ-მასწავლებლების რეგულარულად გადამზადება.
- სტუდენტებისთვის დამატებითი შესაძლებლობების გაჩენა ინგლისური ენის კომპეტენციების გაუმჯობესების კუთხით სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზების, სასწავლო რესურსების მრავალფეროვნების, საზაფხულო სკოლების, სხვა აქტივობების სახით.

### უნივერსიტეტის ინსტიტუციური საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების დაახლოების მექანიზმები საერთაშორისო სტანდარტებთან

- საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება.
- დარგობრივი ექსპერტების მოწვევა პროგრამებზე.
- უმაღლესი განათლების ხარისხის ექსპერტების მოწვევა გარე შეფასების მიზნით.
- სხვა აქტივობები, რომლებიც ემსახურებიან უნივერსიტეტის დაახლოებას. საერთაშორისო სტანდარტებთან.